№ 132

ოთხშაბათი, 20 ივნისი, 1901 წ.

1877—1901

# ივერია

№ 132

ოთხშაბათი, 20 ივნისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი ... ბიბლიოთეკა

საფეთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზედ, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

ტელეფონი № 741.

ადრესი ტელეგრამის: Тифлисъ „Фармацевтика“

(100—43—49)

„ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკია მი. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ყ. მ. ჩაქოგანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

გ. ი. გმელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. შ. კარამურზაანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხნიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არგანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მუღანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. მატინოვი—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკოვიჩი—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

მთავრობის ნებართვით

დ. ახალსენაკის დეპუტატნი ამით აცხადებენ საყოველთაოდ, რომ აღნიშნულს დაბაში 22 ამა ივნისს გაიხსნება შვიდის დღის

ბაზრობა.

მსურველთ შეუძლიანთ კარვებში ივაჭრონ ყოველ-გვარ სავაჭრო საბუთებისა გარეშე. გარდა ამისა, 29 ივნისს დანიშნულია

მარული,

12 ვერსის მანძილზედ, რომელზედაც გამარჯვებულნი მიიღებენ საჩუქარს პირველის სანაძლეოსას 50 მან., მეორესას 30 მან. და მესამესას—20 მან. (1—141—1)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა კორნეტობა მე-17 ვოლინის დრაგუნთა რაზმის ესტანდარტ-იუნკერს თავ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ს.

მიწერილ იქმნა თერგის ყაზახთა რაზმის ხორუნჟი თავ. მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი სახელმწიფო ცხენების მომშენებელ მთავარ გამგეობაში.

## ახალი ამბავი

*** მომავალ აგვისტოდგან გიმნაზიის პირველ და მეორე კლასებში მოსპობილ იქმნება ლათინურ და ბერძნულ ენების სწავლა და მათ მაგივრად შემოღებული იქმნება ახალი ენა. გარდა ამისა ორივე კლასში შემოღებული იქმნება ისტორია, გაძლიერებული იქმნება გეოგრაფია და რუსული ენა. მესამე და მეოთხე კლასებში შესუსტებული იქმნება ლათინური ენა და სრულიად გაუქმებული ბერძნული. ამის ნაცვლად ორივე ამ კლასში შემოიღებენ მეორე ახალ ენას, გაადიდებენ მე-III კლასში პირველს ახალს ენას და მათემატიკას, ხოლო მე-IV კლასში რუსულს ენას, ისტორიასა და გეოგრაფიას. რეალურ სასწავლებლებში ახალ ენათა სწავლისათვის დაწესებული გაკვეთილები შემოკლებული იქმნება I და II კლასებში, მეორე ახალი ენა გაუქმებული იქმნება მე-II კლასში, ორივე კლასში შემოღებული იქმნება ისტორია, გაძლიერებული იქმნება მათემატიკა I კლასში და გეოგრაფია—მე-II კლასში.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის ბრძანებით ბაქოში შესდგება მალე განსაკუთრებული კომისია. კომისიამ უნდა განიხილოს საქმე ბაქოში მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ. ჯამაგირების მომატების შესახებ ლაპარაკი თვით მოსამსახურეთ აღძრეს. როგორც ვუწყით, ბაქოში ცხოვრება ძვირია და დღევანდელი ჯამაგირი მოსამსახურეებს არა ჰყოფნით.

*** ამ ბოლოს დროს საეპარქიო მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქ-

## ფელეტონი

### მარიამ შოტლანდელი

ხუთ-მოქმედ. დრამა

თხზ. ბერნსტერნ-ბერნსონისა.

თარგმანი ინ-ანისა.

(შემდეგი *)

გამოსვლა V.

ლეტინგტონი, შემდეგ მორტონი.

ლეტინგტონი. დიახ! ლეტინგტონი ყველასათვის საჭირო არის! ჯერ ბოტველისთვის,—შემდეგ ბოტველ რომ დაეცემა და მასთან ერთად დედოფალიც,—ახლა მურრეისათვის, და მურრეიც ხომ დაეცემა უთუოდ. მერმე? მცირე-წლოვან მემკვიდრის სახელით შოტლანდია ვინ უნდა ჰმართოს? (შემობრუნდება და კედლის პირად მაღლა რომ სცენის სიღრმეში მონადირის ტანისამოსით მორტონს დაინახავს, შეკრთება). მორტონმა! ამან... დაიდგას გვირგვინი, მაშინ როდესაც უკვე მზადა ვარ—თავი გვირგვინით შევიმკო? იქ, მაღლა, ის იდგეს ესრე ამაყად, სადაც მე ვაპირებდი ასვლას? არა, საყვარელო, თუ აგერეა, სჯობს ისევ მაგ ქვას ქვევიდგან ცოტა წამალი მივცეთ! (საღამს აძლევს). საღამო მშვიდობისა, თქვენო განათლებულებავ! ძალიან მაღლა ასულხართ!

(ფარდა. დეკორაციები გამოიცვლება).

გამოსვლა VI.

(დარნლეის პატარა ოთახია უბრალოდ მოწყობილი).

დარნლეი და ტეილორი შემოდიან: პირველი მეორეს დაჰყრდნობია და მძიმედ მოდის.

დარნლეი. საღამოს მზეა! აქა სჯობიან... პატარა გავიაროთ. მას შემდეგ, რაც ავადმყოფობა დავიწყე, ჩემთან სიარული ისევ დაიწყო. როგორა გგონია, დღეს არ მოვა?

ტეილორი. უთუოდ მოვა.

დარნლეი. მაგრამ ახლა გვიან-ღაა; მარგალიტას ქორწილს უნდა დაესწროს, ჩემთან შემოვლას ველარ მოასწრებს!

ტეილორი. მასზედ ფიქრს რომ ცოტა უკლებდეთ!

დარნლეი. (შედგება). მოთმინება იქონიე, უილიამ! ერთობ სუსტის, უძლურის სულის პატრონი ვარ; ნოქსის მოძღვრებასა და დარიგებას ვერ ვასრულებ. მე თითქმის მეშინიან მისი. იგი როგორღაც მამძიმებს; მართალია, როგორც არის, მიმაჩანჩალებს, მაგრამ ჩემი მას არა ესმის რა. (ცოტას კიდევ წაივლის და შესდგება). უილიამ, სუსტი ამ ქვეყნად ყველასა სძულს, ყველა ძალის წინაშე იხრის ქედს, თუნდაც ეს ძალა ბოროტებით ალსავსე იყოს. ხალხი სატანასა სცემს თაყვანსა. (დადის).

ტეილორი. მაგას ნუ იტყვით. ნოქსი ქვეყნის აზრსა და შეხედულებას არ ემორჩილება.

დარნლეი. (შესდგება). ოჰ, რომ შეეძლოთ სუსტისა ცნობა! მართალია სუსტია იგი, მაგრამ იმიტომ მხოლოდ, რომ სულის სიღრმეში რაღაც ერთგული გრძნობა—სიერვილი, ხსოვნა, სიყვარული—კიდევ ჩაჰრჩენია. იცის მან, რომ ყოველივე დალუპვას უქადის და სცდილობს თავი როგორმე გაინთავისუფლოს, მაგრამ არ შეუძლიან, რადგანაც გრძნობა სულს ღრმად დაჰნათესავებია; ამ გრძნობას იგი ველარა სძლევს, თავი ვერ გაუნთავისუფლებია (დადის).

ტეილორი. აი, სწორედ ეგრეთი ღრმად ჩაფიქრება გაუძლურებთ, ნებასა და ძალას გისუსტებთ.

დარნლეი. (მცირე პაუზის შემდეგ). ცუდის კაცის მუდმივობა ერთგულობა როდია, არა! იგია მხოლოდ ჯიუტობა და გაუტეხელობა, მაგრამ მას მაინც ყველა ჰმორჩილებს. ბოროტს კაცს მხოლოდ ერთი რომელიმე ვნება აქვს შეთვისებულ-შეხორცებული; იგი ამოჰფარებია სიძულვილსა და ყველა შემაერთებელს ხიდებს ანგრევს. აი, ქვეყანა ქედს ვის წინ იხრის! (დადის).

ტეილორი. თქვენვე არ აძლევთ თავს მოსვენებას, რაღაცა მოჩვენებებით გულს იხეთქავთ!

დარნლეი. ხალხი დიდს ბრძოლას, დიდს გამარჯვებას, ან ასეთსავე დამარცხებას თხოულობს! (შედგება). და იმას-კი სრულიად ვერა ჰხედავენ, თუ სუსტისა სულში სხივმფენი შუქი რამდენჯერ ჩაანთებს ხოლმე, რამდენჯერ აღეგზნება იგი და ჩაჰქრება კვალად, ვიდრე სიცოცხლის ცვარი ამოუშრებოდეს... აგერ მზეც ჩავიდა! რა უცნაური ცა არის, უილიამ! როგორღაც მეშინიან უცქირე აბა, უცქირე, რა არის ესა? ნუ-თუ ეს ნიშანია იმისი, რომ ცაც მირისხდება? სულ მთლად ვკანკალებ... ოჰ, უილიამ, დამსვი ერთი (ტეილორი დაჯდომას შველის).

ტეილორი. უნდა როგორმე გამაგრდეთ!

დარნლეი. არ შემიძლიან! წამიკითხე ჩქარა, მიშველე, თორემ შიში მზარავს!

ტეილორი. (გადაშლილს წიგნსა კითხულობს) ვიდრემდის, უფალო, დამი-

*) იხ. „ივერია“ № 126.

ცია სამრევლო-საეკკლესიო სკოლებს. საქართველოს ექსარხოსი, მაღალყოვლად სამღვდელო ფლაბიანე, ქართლში მგზავრობის დროს სარგებლობდა ყოველის შემთხვევით და აკვირდებოდა ხსენებულს სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმეს, ექსარხოსი კმაყოფილი დარჩენილა სწავლა-აღზრდის საქმით სკოლებში. ამ თვის შვიდში საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარე მამა სტეფანე და ამავე საბჭოს წევრი სემინარიის მასწავლებელი ნ. დ. მახათაძე ბოდბეს წავიდნენ წმ. ნინოს მონასტერთან არსებულ მეორე კლასიან სასწავლებლის ბავშვების გამოსაცდელად. იქიდგან მამა სტეფანე და ბ-ნი მახათაძე თელავისკენ წავიდნენ და გზაზედ, სადაც შესაძლებელი იყო, სკოლები დაათვალიერეს.

*** როგორც სადგ. სოღანლუღიდგან გვატყობინებენ, 18 ივნისს, შუაღამის თორმეტ საათის ნახევარზე, სადგურ სოღანლუღში სახალხო მატარებლის ორთქლ-მავალი და რამდენიმე ვაგონი ლიანდაგიდგან გადავარდნილა. დამტვრეულა ბარგის ვაგონი, დაზიანებული ორთქმავალი და ერთი მესამე კლასის ვაგონი. გზა 27 საჟენის მანძილზე გაფუჭებულა. წინა ვაგონის მესამე კლასის ბაქანზე ორი მგზავრი მდგარა, როგორც ამბობენ, მამა და შვილი, როდესაც ეს ვაგონი ლიანდაგიდგან გადამცდარ ბარგის ვაგონს დასჯახებია მამა-შვილი შუაში მოჰქცევიან ვაგონებს; ბავშვი იქვე მომკვდარა, ხოლო მამა ისე დამტვრეულა, რომ იმისი მორჩენა საეჭვოა თურმე. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაუგზავნიათ. სხვა მგზავრი არავინ დაშავებულა.

*** როგორც ვუწყით, საერო განათლების სამინისტრომ თავისს დაწესებულებებს დაავალა თავიანთი პასუხები გაუგზავნონ სხვა-და-სხვა კითხვებზედ, რომელნიც საშუალო სკოლის რეფორმას შეეხება. ამავე კომისიამ უნდა განიხილოს თავად-აზნაურთა, ქალაქების თვითმართველობათა და სხვა დაწესებულებათა დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი ამავე საგნის შესახებ.

*** ბაქოში უადგილოდ დარჩენილ მუშებს შეღავათიან ტარიფით სახლში დაბრუნება რკინის გზით 25 ივნისამდე შეუძლიათ.

*** გუმბრში აზრადა აქვთ საკომერციო სასწავლებელი დააარსონ. როგორც „ყაზბეგს“ შეუტყვია, კავკასიის მთავრობას ამ საქმის შესახებ მოხსენება სამინისტროსათვის გაუგზავნია.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ერთხელ კიდევ დაავალა მოძრაობის რევიზორებსა და სადგურების უფროსებს დიდი ყურადღება მიაქციონ, რომ სადგურის ბუფეტებში ახალი და კარგი საჭმელები იყოს ხოლმე დამზადებული და აგრეთვე სამზარეულო სუფთად იქმნას შენახული. ამასთან უფროსი აფრთხილებს ბუფეტთა პატრონებს, რომ თუ სამზარეულო უსუფთაო და საჭმელები უვარგისი აღმოჩნდა, დაჯარიმებულნი იქმნებიან, ან და სულ ჩამოერთმევათ ბუფეტის პატრონობა.

*** წელს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ორ ქართველს დაუმთავრებია—ბ-ნთ ჩერქეზიშვილსა და ერისთავს.

*** ქალაქის ტეხნიკოსის ალაჯანოვის ხარჯთ-აღრიცხვით ნ. ი. ზუბალაშვილის სახელობის შეუძლოთა თავშესაფარის ასაშენებლად საჭიროა 82,000 მან.

*** სამკურნალო დეპარტამენტს დაუვალებია სამკურნალო გამგეობისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ ადგილების გამოკვლევას, სადაც ძალიან გავრცელებულია ციება (მალიარია).

*** როგორც გაზ. „Тер. Вѣд.“ სწერს, გასულ წლის დამლევს არდონის სასულიერო სემინარიიდგან დაუთხოვნიათ ერთს დღეს 23 მოსწავლე.

*** ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში წელს ალარავის მიიღებენ, რადგანაც თავისუფალი ვაკანსია არ არის.

*** ქართული თეატრის არტისტები ნ. გაბუნია, ტასო აბაშიძე, ვ. აბაშიძე, გუნია და სვიმონიძე ამ თვის დამლევს მიემგზავრებიან დაბა საჩხერესა და ჭიათურაში წარმოდგენების გასამართავად.

*** სადგ. შორაპანი. 14 ივნისს აქ შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: შავი-ქვის ვაგონებზედ მომუშავე მუშა, დუშეთის მაზრის მცხოვრები გიორგი ჯერვალიძე მუშების მეთვალყურეს ო. მ—ძეს გაუგზავნია და მდინარე ყვირილის პირად მოსამწყესად ძროხა გაუტანებია. ჯერვალიძეს ძროხა დაუბამს და თითონ წყალში შესულა საბანაოდ; მდინარეს უცბად ღრმაში შეუთრევია და დაუხრჩვია. საბრალო არავის მოუძებნია, თუმცა წყლის პირად ბევრი ხალხი დაფუსფუსებდა.

*** 20 ივნისიდგან ჭიათურის რკინის გზის მტის სადგურ ჭიათურასა და დარკვეთს შუა გამართულ იქმნება ბაქანი „ზეგუური“ უბარგო მგზავრთათვის.

*** ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტში 10 ივნისს კენჭი უყარეს ახლად განთავისუფლებულ 5 ვაკანსიაზედ მისაღებ მოსწავლე ქალებს. კენჭის ყრით მიღებულ იქმნენ: მარიამ არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ანნა ხერხეულიძე, ქსენია იუზხოვიჩი, ანნა ტიზენჰაუზენი და იულია მერკულოვი.

*** კვირას, 17 ივნისს, მუხრანის ბაღში ნადეჟდინის ბავშვთა თავშესაფარის სასარგებლოდ სახალხო სეირნობა იქმნა გამართული. სეირნობას დიდ-ძალი ხალხი დასწრებია.

*** 17 ივნისს ნავთლუღის სადგურში ვაგონის დატვირთვის დროს რკინა დასწოლია მუშას ვ. ჯოხაძეს და დაუშავებია.

*** 18 ივნისს ხაშურის სადგურის მახლობლად ბაქოდგან ბათუმში მიმავალ მატარებელში გარდაცვლილა დაბა სოჩის მცხოვრები ივანე გოგიავა.

*** 18 ივნისს ბორჯომის გზის მე-19 ვერსტზედ ქვის ტეხის დროს გადმოვარდნილა ქვის ზვავი და ლიანდაგი გაუფუჭებია.

## წერილი მესხეთიდგან

სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთით თრიალეთი საზღვრავდა, ბერდუჯის მდინარემდე, ჩრდილოეთით იმერეთი და ნაწილი ქართლისა, სამხრეთით არმენია-არზრუმამდე და დასავლეთით საბერძნეთის იმპერიის ძველი მიჯნა ტრაპიზონის მახლობლად რკინის ჰალთამდე. მთელი სამცხე-საათაბაგო ნახევარ საქართველოს უდრიდ. აქ ძველად ცმეტი საეპისკოპოსო კათედრა იყო, მაგალითებრ: მაწყვერელისა, კუმურდოელისა, იშხნელისა, ანჩელისა, მტბევარისა, წურწყაბლისა, წყაროს-თაველისა, ერუშნელისა, ვარაშაკესტელისა, ახელისა, კარელისა, ბანელისა, და დადაშნელისა. XI და XII საუკ. ქვაბლიანიდგან დაწყებული, ოცხეს, ახალციხესა და ჯავახეთში ერთ მილიონამდე ქართველს უცხოვრია. და მართლაც, ასე რომ არა ყოფილიყო, უამისოდ მცირე რიცხვთვანი ერი ვერძის, კუმურდოს, სათვარს, ზარზმასა და სხვა დიდრონს ეკკლესიებს ვერ ააშენებდნენ.

ვახუშტისა და სხვა ისტორიულის ცნობებით, დასავლეთს საქართველოში სულ ირიცხებოდა 1,860 სოფელი. ამ ვრცელს კუთხეს ოსმალებმა ბრძოლა 1515 წლიდგან დაუწყეს, ე. ი. მას შემდეგ, რაცა ვიზანტიის ნაწილის ტრაპიზონის იმპერია გააუქმეს, ძველი ვიზანტიის იმპერია სრულიად დასცეს. 1580 წლიდგან სამცხე-საათაბაგოც დაიმორჩილეს, ხოლო ათაბაგობა ვერ მოსპეს, მისი ძველი ავტონომია ხელ-შეუხებლივ დარჩა და ხარჯი დაადეს; ათაბაგნი წლიურად მხოლოდ ხარჯს აძლევდნენ, სხვა არაფერს. 1627 წ. სამცხე-საათაბაგოს ავტონომია გააუქმეს, იგი ოსმალეთის იმპერიის საფაშალიკოთ დანიშნეს, უმთავრეს ქალაქად ახალციხე გამოაცხადეს.

მთელი სამცხე-საათაბაგო ოსმალეთმა 24 ნაწილად დაჰყო, მაგალითებრ: ჯავახეთის სანჯახი, არტაანის (არდაგანი), ახალციხისა, ოცხისა, ჩილდირისა, შავშეთისა, ართვინისა, ოლთისისა, ზედა-აჭარისა, ქვედა-აჭარისა, მაჭახლისა, დიგანის (დიგანის ხევი), დასისტანისა, კოლისა, ყარსისა, თორთომისა, პარხლისა და ხახულისა, ერუშეთისა, თრიალეთისა, ფანასკერტისა, ხოფისა, გონიისა, ბათუმისა და თავის კარისა. სულ ამ ზემოხსენებულს კუთხეში ოთხი ფაშა იჯდა: ახალციხისა, კოლისა, მაჭახელ-გონია-დასისტანისა და ოლთის-ყარსისა. ყველა ფაშებზედ უფროს ფაშათ ახალციხის ფაშა ითვლებოდა. იგი ექვემდებარებოდა არზრუმის სერესკირს, სამხედრო გუბერნატორს—მთავარ-სარდალ ფაშას

საქართველოს ამ დამონებულ ადგილთა მცხოვრებ ქართველთა ისლამთან დაკავშირება ოსმალთა მთავრობამ და სასულიერო წოდებამ 1629 წ. დაიწყო, სწორედ იმ წელიწადს, როცა ქართველ ერის გონებითი წარმატების [illegible] ძინების დასაწყისი [illegible] რომში პაპის ურბან მერვის ბრძანებით ქართული სტამბა დაარსდა; აქ 1629 წ. პირველად გაჰფინეს ქართული დაბეჭდილი წიგნი და პაპის კონგრეგაციამ „პროპაგანდაში“ ქართული ენის კათედრა დააარსა და გამწესდა ქართულის ენის მოწესე პროფესორი, რომელთა შორისაც, მარიოს გაჯის სიტყვით ქართულის ენის ცოდნის უპირატესობით აღმოჩნდნენ შემდეგი მოძღვარ-მქადაგებელნი პროფესორნი მამანი:

პატრი კარაფა, რომელსაც საქართველოში დიდხანს უცხოვრია, შეუსწავლია კარგად ქართული ენა და დაუწერია და დაუსტამბავს 1640 წ. ქართული ენის საგრამატიკო კანონები. ესვე უფილა „პროპაგანდაში“ ქართული ენის მოწესეთ.

პატრი ანტონ იარდინი, უცხოვრია 1650 წელს, ამას კარგა ხანს საქართველოში უცხოვრია, გაუცვნია ქართული ენა და უკანასკნელად დაუწერია ქართულის ენის განონები და 1640 წ. რომში დაუსტამბავს.

პატრი იუსტოს ფრატო, უცხოვრია იმავე წლებში, ე. ი. 1650 წ. შეუსწავლია კარგად ქართული ენა და ამ ენის შესახები წერილი დაუსტამბავს 1650 წ.

პატრი ამბროსი ავგუსტიანელი, ყოფილა იმავე დროს, 1660 წ., სცოდნია ქართული ენა და უმეცადინია ამ ენის საგრამატიკო მწერლობის აღორძინებისათვის.

პატრი იაკობ სტეფანე, ყოფილა 1670 წ. მცოდნე ქართულის ენისა.

პატრი სტეფანე პაოლინი, ამას მიერ შედგენილი ქართულ-იტალიური ლექსიკონი რომში 1629 წელს დასტამბა.

ამათ გარდა, ამავე დროს ქართულის ენის მცოდნეთ ითვლება პატრი ბერნარდო, აღმოსავლეთის ერთა ისტორიისა და ენის დოქტორი და ზემოდ მოხსენებული აირგინი. ყველა ამათ საკმარისად უღვაწნიათ რომში ქართულის ენისათვის.

ეს ცნობები მოვიყვანეთ იმიტომ, რომ აღგვენიშნა მხოლოდ შემდეგი უბედურება: როდესაც ახალციხეში ქართველთა შთამომავლის ჯაყელის გვარის საფარ-ფაშისაგან ქართველთა გათათრება დაიწყეს, როდესაც ახალციხეში,

---

ვიწყებ მე სრულიად? ვიდრემდის გარემიიქცევ პირსა შენსა ჩემგან? ვიდრე ვისთვის დავისხნე ზრახვანი სულსა ჩემსა და სალმობანი გულსა ჩემსა დღე და ღამე? ვიდრემდის ამაღლდებოდეს მტერი ჩემი ჩემ ზედა?...

დარნლეი. არა მესმის-რა... თითქოს ამ სიტყვებშიაც მუქარა იყოს. მთლად ჩემი სული რაღაცა გაუგებარს ჯანყ-ბურუსს მოუცავს!

ტელიორი. (ჰსურს კითხვა განაგრძოს, მაგრამ ამ დროს სცენის იქიდგან საყვირებისა და ფლეიტის ხმა თან-დათან ძლიერად ისმის; ხმა არ შესწყდება იმ დრომდის, ვიდრე სცენაზედ დედოფალი არ გამოჩნდება). დედოფალია.

დარნლეი. დიახ, ის არის, მარიამი, არ დავვიწყებივარ! სანთლები ჩქარა! აანთე ბლომად! ჩემი მომხიბლველი ლამაზი მოდის, რომელმაც სიცოცხლე გამომწირა; იგი ნამდვილი ცეცხლის ვარსკვლავია, რომელიც კიდეც მათბობს და კიდეცა მწვავს! მეტი სინათლე, ფარდები ჩამოუშვი! სურნელოვანი საკმეველი არა გაქვს-რა, სურნელოვანი წყალი ასხურე ყველგან, უბრძანე სახლის წინ ჩირაღდნები ჩამოარიგონ!

### გამოსვლა VII.

იგინივე. პაჟი, შემდეგ დედოფალი.

პაჟი. დედოფალი კითხულობს, შეგიძლიანთ თუ არა მათს უდიდებულესობას ორიოდე წამი დაუთმოთ?

დარნლეი. თუნდა მთელი სიცოცხლე! (პაჟი გარეთ მდგომს დედოფალს და მისს ამალას კარებს გაუღებს. ტელიორი დედოფალს მუხლს მოუდრეკს, სალამს მიუძღვნის და გარეთ გავა. კარებს გაიხურავენ).

### გამოსვლა VIII.

დედოფალი და დარნლეი. (დედოფალს საუცხოვო ტანისამოსი აცვია; ოთახის შუაგულ შესდგება დარნლეის წინ. მუსიკა გაჩუმდება)

დარნლეი. (საწოლიდგან ნახევრად წამოიწევს). ოჰ, შენა ხარ? იმ ხმებსავით მშვენიერი, რომლის ტალღებზედაც აქეთ მოსცურავდი მაგ დიდებულის სადღესასწაულო ტანისამოსით, მშვენიერი და მომხიბლველი, ვით პირველად ნახვის გრძნობანი, რომლის მოახლოვებაც ნეტარებასა მფენს და განშორება-კი შიშის ზარსა მცემს! მომიახლოვდი, მაგრამ არა, შესდეგ, მოიცა აგრე გიყურო. არა, მოდი! (დედოფალი მივა და დარნლეის საწოლთან დაბალს ტაბურეტკაზედ ჩამოჯდება; დარნლეი მაშინვე ხელს გამოსტაცებს, ნაზად აკოცებს და თვალს აღარ აშორებს). წარსულს ღამეს სიზმარი ვნახე: ვითომ სადღაც ძალიან მაღლა ვიყავი... იქ ისე ნათელოდა, მშვენიერება იყო... ისეთსავე სიტკბოებასა ვგრძნობდი, როგორც მახსოვს ბავშვობაში განვიცდიდი ხოლმე, როდესაც მეზმანებოდა, ვითომ ჰაერში დავფრინავდი... მაგრამ იმ მშვენიერს ადგილას შენ არ იყავი!.. მაშინ მე ლოცვა დავიწყე, რომ შენც ჩემთანა ყოფილიყავი... და შენც მოხვედი... მოხვედი შენც, დედაშენიც... და ყოველივე უფრო განათლდა!.. როგორა გგონია, რას უნდა ნიშნავდეს? ამბობენ, ღამე დღის წინამორბედიაო, მაგრამ, ვგონებ, იგი დღის თავგადასავალს უკეთ იგონებს. ოჰ, რა კეთილი ხარ, რომ ამდენს ხანს ჰზიხარ ჩემ გვერდით და მელაპარაკები!..

დედოფალი. როგორ, ნუ-თუ ვერ შეჰნიშნე, რომ ჯერ არა მითქვამს-რა!

დარნლეი. მართლა? მაშ უთუოდ შენი თვალები მელაპარაკებოდნენ. ახლა, ქორწილში წახვალ არა?

დედოფალი. დიახ.

დარნლეი. ნურც იქ დამივიწყებ, მომიგონე, გაიხსენე ჩემი შენდამი სიყვარული და მის გამო ყოველივე მაპატიე, რაშიაც-კი შენ წინაშე დანაშაული მიმიძღვის!

დედოფალი. მე უკვე გაპატიევი.

დარნლეი. ყველაფერი? მითხარი, მანუგეშე!

დედოფალი. ყოველივე, თვით რიჩჩიოს სიკვდილიც-კი.

დარნლეი. ო, მარიამ! კიდევ ახსენე იგი! სჩანს მაშ, არ გიპატიებია!

დედოფალი. არა, ყოველივე გაპატიე მას შემდეგ, რაც დაახლოვებით გაგიცანი.

დარნლეი. არა, შენ კიდევ ვერ მიცნობ უთუოდ; რომ გცნობოდი, მაშინ რიჩჩიოს სახელს არ ახსენებდი!

დედოფალი. ვახსენე იმიტომ, რომ დღეს საღამოთი როგორღაც უფრო მეტად ამძიმებს იგი ჩემს მეხსიერებას. ეს იყო სწორედ ერთის წლის წინად და სწორედ ამ დროს.

დარნლეი. ოჰ, მარიამ, მაგითი ხომ სრულიადა მკლავ!

დედოფალი. რა დაგემართა?

დარნლეი. ისევ ის შიში, ძრწოლა, კანკალი!

დედოფალი. მეგობარო, შენ სრულიად ავადა ხარ. როგორ გაფითრდი, ჰხედავ, შუბლზედ ოფლი მოგადგა (თავისის ცხვირსახოცით შუბლს მოსწმენდს, წამოდგება და ჰშველის, რომ მოსვენებით წამოწვეს, მერე ისევ დაჯდება და ხელს შუბლზედ დაადებს. დარნლეი იღიმება).

დედოფალი. ეხლა ხომ უკეთა ჰგრძნობ თავსა?

დარნლეი. უკეთ (ანიშნებს, რომ მეორე ხელიც მიაწოდოს; დედოფალი მეორე ხელს გაუშვერს და პატარა ხნის შემდეგ შუბლიდგან პირველს აცლის). ნუ

ქართველთა შუაგულს კუთხეში, ქართველთა მტრების მეოხებით თათრის დიდი სასულიერო მედრესე დაარსდა და მათნი მღვთის-მეტყველნი ზაავიზნი და სოხტები განაწესეს, რომლებმაც გამუსულმანებულ ქართველთა თათრულად აღზრდა იწყეს და ქართველთა შორის ისლამის ფანატიზმის დამკვიდრება, სწორედ იმ დროს, იმავე წელიწადს, ევროპაში კათოლიკეთა ბერებმა ქართულის ენის დადება გამოჰფინეს, რომში სტამბა და ქართულის ენის კათედრა დააარსეს, წიგნების ბეჭდვა იწყეს და საქართველოშიაც მრავლად იწყეს მოგზაურობა.

ოსმალეთიდგან ქართველთა გათათრება 1629 წლიდგან დაიწყო და გასტანა 1798 წ. მესხეთსა და ჯავახეთში-კი 1800 წლის შემდეგ 1820 წლებამდისაც ათათრებდნენ, მაგრამ ძრიელ მცირედ. 1629—1798 წლებამდის ძირეულ ქართველთა შორის ქრისტიანობა ცამეტს საეპისკოპოსოში აღმოფხვრეს, ცამეტი საეპისკოპოსო მოსპეს, უმეტესი ნაწილი დაანგრიეს, მოსპეს ქართული წიგნები, ქართული ძველი წარწერები და გამაჰმადიანებულ ქართველთა შორის დაამკვიდრეს სრული სიძულვილი თავიანთ მოძმე ქართველ ქრისტიანებისადმი. ქართველთა გვარის შთამომავალს ისე არავინა სძულს, როგორც თავისივე ტომის ჩამომავალი ქართველი ქრისტიანი. ქართველს იგი ურჯულოს ეძახის, მურდალსა და სხვა. ეს იყო ოსმალთა ძველი პოლიტიკა, ამას ესწრაფოდნენ იგინი და არც თუ შესცდნენ: ამ გვარად გათათრებულ უცხო ტომთა შვილების მეოხებით შეადგინეს და აადორძინეს თურქის ტომი, თორემ ძველად მთელს დაცემულს ვიზანტიის იმპერიაში და ბალკანეთის კუნძულზედ თურქების ტომის რიცხვი დრეპესის სიტყვით XIV საუკ. ერთს მილიონზედ მეტი არა ყოფილა. დღევანდელი თურქის ტომი ასეთის სხვა-და-სხვა გათათრებულის ტომის შვილებისაგან შესდგება, მაგალითებრ: ქართველთაგან, ბერძენთა, ბოლგარელთა, სერბიელთა, რუმინელთა, ქალდეველთა და სომეხთაგან, რასაც თვით ამათი ჩამომავლობის ტიპიც ნათლად ამტკიცებს.

(დასასრული იქნება)

## კავკასიის მომავალი გამოფენა.

ბაქოს ნავთის მწარმოებელნი უკვე შეუდგნენ გამოფენაზედ დიდის ნავთის „ვიშკის“ აგებას, რომელიც სილრმით 8 საჟ. იქნება.

—

კავკასიის მომავალ გამოფენაზედ საკონცერტოდ მოწვეულია ტფილისის მე-15 გრენადერთა რაზმის „ბალალაიკის“ დამკვრელთა ხორო.

—

ტფილისის ცხენის რკინის გზის გამგეობამ აცნობა გამოფენის გამგე კომიტეტს, რომ არ შეგვიძლიან დამატებითი თანხა გადავსდოთ გამოფენის გასამართავად, ვიდრე ბრიუსელიდგან მთავარ გამგეობისაგან ნებართვას არ მივიღებთო. რაც შეეხება გამოფენის დროს ტრამვაის ვაგონების მიმოსვლას, ყოველ ღონისძიებას ვიხმართ გამოფენაზედ მიმოსვლის გასაადვილებლადაო.

## ქალაქის საბჭო.

18 ივნისი.

გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა მოახსენა საბჭოს უმართებულესის სენატის ბრძანება, რომლითაც გაუქმებულ იქმნა ქალაქის გამგეობის დადგენილება იმნაძის საქმის შესახებ. როგორც მკითხველებმა უწყიან, გამგეობამ ნება არ დართო ბ-ნ იმნაძეს სახლის აშენებისა იმ მიზეზით, რომ ქუჩა უნდა გაფართოვდესო. სენატის ბრძანებით, გამგეობას ნება არა ჰქონდა ასე მოქცეულიყო. შემდეგ გამგეობის წევრმა ხოსროევმა წაიკითხა ხმოსნის ბ. ა. ვესელოვზოროვის განცხადება დიდის მთავრინის ოლგა თეოდორეს ასულის სახსოვრად ძეგლის აგებისა და სასწავლებლებში სტიპენდიების დაარსების შესახებ. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, გამგეობამ შეიწყნარა ხმოსნის ვესელოვზოროვის განცხადება ძეგლის აგების შესახებ, გადასდო რა ამ საქმისათვის 500 მან. და თავისით დაუმატა, რომ დედათა სამკურნალო კურსებზედ ორი სტიპენდია იქმნას დაარსებული დიდის მთავრინის ოლგა თეოდორეს ასულის სახელობაზედ. საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება. შემდეგ ქალაქის ქუჩების მოკირწყვლის საქმის მოსაწყობად საბჭომ აარჩია მოსამზადებელი კომისია. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ხმოსნები: ა. ს. ბაბოვი, ბილფელდი, ყანდურალოვი, გრიქუროვი და კარაპეტოვი. დასასრულ საბჭოს მოხსენდა გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილება, რომლითაც გაუქმებულ იქმნა ქალაქის გამგეობის დადგენილება უსუფთაობის გადასახიდ ურმების შემოღების შესახებ. საბჭომ დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე საკრებულოს დადგენილების გაუქმებისა და საბჭოს დადგენილების შეწყნარების შესახებ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ისე თვე არ გავა, რომ რუსულმა „პატრიოტულმა“ გაზეთებმა ნაბათი არ დაჰკრან და სადმე, იმპერიის განაპირა ადგილებში „ღალატი“ ან სხვა რამ არ აღმოაჩინონ. ზაფხულში, როდესაც საგაზეთო მასალა კლებულობს, სწერს „ნოვოსტი“, კონსერვატორიული გაზეთები იწყობენ ჩვეულებრივ ლაპარაკს „კავკასიის დამშვიდებისა და დაწყნარების შესახებაო“. განსაკუთრებით „Моск. Вѣд.“ უხშირებს ხოლმე ამ საგნის შესახებ ლაპარაკს. ამ ხანად ეს გაზეთი იარაღის აყრის შესახებ სწერს და, თუმცა ღალატს არავისა სწამებს, მაგრამ ყოველგვარ უბედურების სათავეს მაინც ამ იარაღსა და მცხოვრებთა „ველურობაში“ ჰხედავს.

„თუ კულტურულ და კეთილ-საიმედო კაცის ხელშიაც-კი, — სწერს გაზეთი, — იარაღი საშიში ხდება, ადვილი გასაგებია, რა უნდა იყოს იგი გულ ფიცხ, ველურ და თვითნება კავკასიელის ხელში. უწინ, როდესაც კავკასიაში ადმინისტრატიული წესწყობილება და კანონები არ იყო, აზრი ჰქონდა იარაღის ტარებას; ეხლა-კი სულ მეტია.

„ვიდრე ადგილობრივ მცხოვრების ხელში იარაღი ექმნება, მანამდე იგი მშვიდობიან და კეთილ-საიმედო მოქალაქედ ვერ გადაიქცევა, მანამდე კავკასიაში მშვიდობიანობა და სათნოება არ დამყარდება“.

ამ რიგად, ყოველივე უბედურება კავკასიაში იარაღის ტარებისაგან წარმოსდგება. „საკმაოა ერთი სასტიკი ბრძანება, რომ საქმე გაკეთდეს და მშვიდობიანობა დამყარდეს“, სწერს დასახელებული გაზეთი „ნოვოსტი“ და უმატებს, ასე ადვილად იციან ზოგიერთებმა ძნელი საქმეების გადაწყვეტაო.

—

## უცხოეთი

**ინგლისი.** ლიბერალთა დასი საბოლოოდ ორად გაიყო. როგორც „Independ. Belge“-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, საზოგადოებათა პალატაში ამ ჟამად მხოლოდ ამაზედ-და ლაპარაკობენ თურმე, თუმცა მოულოდნელი აქ არა მომხდარა-რა: სამხრეთს აფრიკაში ომის გათავების შესახებ კონსერვატორების მიერ გავრცელებულმა სიცრუემ ქვეყანა იქამდის აადელვა, რომ აქ ყოველგვარი განხეთქილება იყო მოსალოდნელი, მეტადრე იმის გამო, რომ კონსერვატორებმა ამ სიცრუეს განზრახ მიჰმართეს, რადგანაც არჩევნების დრო მოახლოვებული იყო და, მაშასადამე, საჭირო — მეტი მომხრე ჰყოლოდათ. ომი-კი არამც თუ დასრულებულია, დღესაც მოსვენებას არ აძლევს ინგლისელებსა და ვინ იცის ბოლოს და დასასრულს ომისას როდის ეღირსებიან. მთავრობა და ხაზინა უზომო ხარჯებისაგან მეტად შეწუხებულნი არიან და თუ დღეს კიდევ გამოტეხილად არას ამბობენ, მალე უთუოდ ქვეყანას ვეღარ დაუმალავენ და ამცნობენ, რომ გასავალი შემოსავალსა სჭარბობს და ინგლისი დავალიანებულია. ბურების ტყვე-დედაკაცებისა და ბავშვების შესახებ ქ-ნის გობგოუზის მიერ გამოქვეყნებულმა ჭეშმარიტებამ ინგლისის საზოგადოების საუკეთესო ნაწილს შეხედულება ძირეულად შეუცვალა და ღირსეული რისხვა და განკიცხვა გამოიწვია. ამ პირობებში ოპოზიცია თითქოს უნდა გაერთიანებულიყო და არა-სასურველი მიმართულება მთავრობის პოლიტიკისა შეეცვალათ, მაგრამ არა, არ გამართლდა მოლოდინი და ოპოზიციის წარმომადგენელნი ორად გაიყვნენ. ჰენრი კემპბელ-ბანერმანმა კარგად იცოდა, რომ მისს [illegible] გამო დიდი უთანხმოება [illegible] და-სხვაობა ჰსუფევდა; ამის გამო პრინციპიალურ კითხვების აღძვრას მუდამ ერიდებოდა. თავისს სიტყვებში იგი მხოლოდ უსაყვედურებდა მთავრობას, რომ ომი ურიგოდ სწარმოებდა, შეცდომები მრავალი მოსდიოდა, საქმეს აუოვნებდა და სხვანი, მაგრამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას იგი პრინციპიალურად არასოდეს არ შეჰხებია, და არც თუ იითონ ომს შეჰხებია ასე პრინციპიალურად. მაგრამ აფრიკანდერთა დელეგაციების მერიმანისა და ზაუერის პატივსაცემლად ლონდონში „Gueen' s Hall“-ში მომხდარმა კრებამ საბოლოო გარდაწყვეტილება ცოტა დააჩქარა: კრებას მრავალი ლიბერალი-დეპუტატი დაესწრო და მათ შორის, ლაბუშერიც; კრებაზედ სიტყვა წარმოსთქვა ბურების ტყვე დედაკაცებისა და ბავშვების შესახებ დეპუტატმა ლლოიდ ჯორჯმა და ამ კრებაზედვე გარდასწყვიტეს სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებს სრული დამოუკიდებლობა შეჰრჩეთ. ამას მოჰყვა მოხსენება გობგოუზისა, რომელმაც მთელს ინგლისს ბურების ტყვედედაკაცებისა და ბავშვების უზომოდ შევიწროება და შეწუხება გააცნო, — დაიბეჭდა წერილი ინდოეთში მეფისმოადგილეთ ნამყოფის ლორდის რიპონისა და ლიბერალთა დასის მეთაურმაც დუმილი ვეღარ შესძლო, ხმა ამოიღო. დაბოლოს ამანაც წერილი დაჰბეჭდა გაზეთებში და მთავრობის მოქმედება სამხრეთს აფრიკაში ძირიანად გაჰკიცხა. ეს იყო მიზეზი, დიდი აურ-ზაური და მიხეთქ-მოხეთქება ამან ასტეხა. კონსერვატორებმა „Standard“-ის შემწეობით იმპერიის მომხრე ლიბერალებს მიჰმართეს, რომ ამათაც ხმა ამოეღოთ, თავისი სიტყვა ეთქვათ. „Standard“-მაც უსმინა და მიუთითა ასკვიტზედ, რომელიც იმპერიის მომხრეობას არასოდეს არა ჰმალავდა და დღემდის მხოლოდ ზომიერების დამცველი იყო. ასკვიტმაც მიიღო ეს წინადადება „Standard“-ისა და ლიბერალთა კრებაზედ, რომელიც ესსექში მოხდა ამ წინაზედ, განაცხადა, რომ ბანნერმანის შეხედულებანი ლიბერალთა დასის შეხედულებათ არ ეთანხმებიან. ამბობენ, ასკვიტს განზრახვა აქვს ლიბერალთა დასის ხელმძღვანელობა იგდოს როგორმე

---

აილებ, დეე იდოს. სწორედ ეგ ხელია მიზეზი, რომ ისრე ძრიელ აღარ მეშინიან (ხელს ისევ შუბლზედ დაადებს). ო, რა კეთილი ხარ, მარიამ! ყველაფერი მაპატიე, არა?

დედოფალი. ყველაფერი.

დარნლეი. ოჰ, რა კარგია პატიება. როდესაც აქ ვწევარ ჩემთვის და არ ვიცი, სადა ხარ, ან რას აკეთებ, ხშირად ვამბობ ხოლმე: ეპატიოს-მეთქი ყველაფერი, რადგანაც კეთილია და კიდევ მოვა-მეთქი. მეც ყველაფერი გაპატიე, ყველაფერი. მარიამ, ოჰ, რა კარგი ხარ! შენ ისე წყნარად, ისე თანაგრძნობით მიცქერი; მაკოცე (დედოფალი თავს აქნევს). ჰო, იმის ნიშნად, რომ ერთმანერთს ვაპატიევით (დედოფალი ისევ თავს აქნევს). როგორ, ცრემლები? (დედოფალი დარნლეის გულს ქვითინით მიესვენება). შენც იტანჯები? მენდე, მარიამ, მართალია, მფარველობა აღარ შემიძლიან, მაგრამ მწუხარებაში თანაგრძნობა-კი ყოველთვის შემიძლიან.

დედოფალი. (წამოდგება და თვალებს მოიწმენდს). უნდა წავიდე. კორწილში მიმელიან.

დარნლეი. დრო არის უკვე!

დედოფალი. მაგრამ ეკკლესიაში ორივესათვის ვილოცავ.

დარნლეი. მერე, როდის-ღა მოხვალ ჩემთანა?

დედოფალი. ხვალ; ახლა უფრო ხშირ-ხშირად ვივლი ხოლმე.

დარნლეი. (თითქოს ჩურჩულით). გმადლობ ამ წამისათვის.

დედოფალი. (დაიხრება და შუბლში აკოცებს). კარგად იყავი!

დარნლეი. გმადლობ.

დედოფალი. (კარებისაკენ წავა, პატარა ხანს კიდევ შედგება, შეჰხედავს და წყნარის, ნაზი ხმით ეტყვის). მშვიდობით.

დარნლეი. (იმავე კილოთი). მშვიდობით! დედოფლის წასვლის შემდეგ ხელებს გულზედ დაიწყობს და ისე წევს უძრავად).

გამოსვლა IX.

(სცენის იქით მუსიკა ისმის, რომელიც ნელ-ნელა ჩაჩუმდება).

დარნლეი და ტეილორი.

ტეილორი. ლოცულობთ? (მოწიწებით უკან გაბრუნდება).

დარნლეი. ჰო, ვლოცულობ. თუ რომ სიყვარული ცოდვაა, მაშინ ჩემზედ ცოდვილი აღარავინ არის!

ტეილორი. დედოფალი დღეს ალერსიანად გეპყრობოდათ?

დარნლეი. ო, ძალიან! მაგრამ რიჩჩიოს სახელი ახსენა... (პაუზა).

ტეილორი. ნუ წავალ, რას მიბრძანებთ?

დარნლეი. არა, აქ დარჩი, მიმღერე რამე, მაგრამ ჩუმად-კი.

ტეილორი. (დაჯდება და მღერის).

ქვეყნად წამის სიხარულსა
თან მოჰყვება მწუხარება,
შესცვლის ღრუბელს მზის სხივები
და ღიმილსა მწარე ოხვრა.
უღმრთოდ მკვლელია სიცოცხლე,
მუდამ ითხოვს თავისს ვალსა;
სიხარული შორს მიგვიქრის,
მწუხარება გვიღრღნის გულსა.
ოხ, შენ ჩემო ტკბილო სატრფოვ,
მერი ანნა, მერი ანნა!
შენ რომ ღიმით არ შემყროდი,
ახლა ცრემლს არ დავაფრქვევდი!

* * *

უბედური არის ის, ვინც
დაემონა ფიცხელს ვნებას:
განსაცდელში ტკივილები
უფრო მწველად სძევს გონებას!
და ყველაზედ უბედური —
ის, ვინც შესვა მთლად ფიალი,
და დაკარგა საუკუნოდ
ყველა, შერჩა მარტო გონი.
ოხ, შენ ჩემო ტკბილო სატრფოვ,
მერი ანნა, მერი ანნა!
იმას შემდეგ დასჭკნა ვარდი,
რაც მეგობარს შენ გაჰშორდი!

(სიმღერის გათავების შემდეგ ქვემოდგან რაღაცა ყრუ ბრახუნი ისმის, თითქოს მძიმე რამ შემოაგორესო).

დარნლეი. ტეილორ, ეს რა არის? (ორივენი ყურს უგდებენ, ბრახუნი კიდევ ისმის).

ტეილორი. წავალ, ვნახავ! (კარებისაკენ მირბის, მაგრამ კარი გარედგან ამოქოლილი დაჰხვდება). კარები ჩაგვიკეტეს!

დარნლეი. (ნახევრად წამოიწევს). ჩაგვიკეტეს!? (ყურს უგდებს, იგივ ბრახუნი ისმის, ტყუილად სცდილობს ტეილორი კარის გაღებას). მოდი ჩემთან, აქ რაღაც უბედურობაა.

ტეილორი. (მივა და ფეხზედ წამოდგომასა ჰშველის, მერე ერთმანეთს მიეკვრიან და რამდენსამე ხანს ასე დგანან; იგივე ხმაურობა ისმის). იქით ოთახში გავიდეთ, იქიდგან შეიძლება ბაღში გადავიდეთ.

დარნლეი. არ შემიძლიან!

ტეილორი. მე გიშველით, წავიდეთ!

დარნლეი. (მიდის, ტეილორს დაჰყრდნობია). ნეტა, რა უნდათ ჩემგანა? ვის რა დავუშავე?

ტეილორი. (მეზობელ ოთახის კარებს გამოაღებს). აქ ბნელა! (ბნელს ოთახში გადიან და აქედგან მოისმის იმათი ხმა).

დარნლეი. გვიშველეთ, გვიშველეთ!

ტეილორი. გვიშველეთ!

(ფარდა სწრაფად დაეშვება სწორედ იმ დროს, როდესაც საშინელი აფეთქების ხმა მოისმის).

(შემდეგი იქნება)

ხელთაო. თუ რომ ეს მართლა ასრეა მაშინ ასკვიტი მხოლოდ ერთის ფრაქციის (დასის ნაწილის) ხელმძღვანელი იქმნება და არა მთელის დასისა, რადგანაც ლიბერალთა შორის ბანნერმანისა, მარლეისა, გარკორტისა, ლაბუშერისა და სხ. მომხრენი ძლიერ ბევრნი არიან. ყოველს შემთხვევაში, ლიბერალთა დასი მაინც ამიერიდგან ორად გაყოფილია და ისეთს ძალას აღარ წარმოადგენს, როგორიც გლადსტონის დასსა ჰქონდა. ჩემბერლენს ეს, ეჭვი არ არის, სასიხარულოდ დარჩება, რადგანაც ოპოზიციის ბურჯი ორად გაიყო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

### ამოკრებილი ამბები

ამას წინად ლ. ნ. ტოლსტოისთან ყოფილა ერთი გერმანელი Hey, რომელსაც ტოლსტოის ნალაპარაკევი ერთ ნემეცურ ჟურნალში დაუბეჭდია. „როდესაც მივედი, სწერს ნემეცი, გრაფს წინ ედო პოლენცის რომანი. გრაფმა ძალიან შეაქო რომანი და სთქვა, ეს საუკეთესო ნაწარმოებია ნემეცთა ახალ ლიტერატურისაო. პოლენცს კარგადა აქვს დასურათხატებული როგორც ბუნება, ისე ხალხი, იგი კარგად იცნობს სოფელსა და გლეხ-კაცთა ცხოვრებას“. ნემეცთა სხვა ახალგაზდა მწერალნი მაგდენად არ შეუქია ტოლსტოის. ჰაუპტმანი ვერ არის დამოუკიდებელ ნიჭის პატრონიო, თუმც იმისი „ფეიქრები“ ტოლსტოის ძალიან მოსწონს თურმე. ეს საუკეთესო ნაწარმოებია ჰაუპტმანისა, უთქვამს შესანიშნავ რომანისტს, ამ რომანში დრამატურგი მთავარ სოციალურ საგანს შეეხოო. „ჰანელე“ მეტად სანტიმენტალური თხზულებაა, ჰაუპტმანის დანარჩენ დრამებს და რომანებს ნაკლები ღირსება აქვთ. უფრო კარგის აზრისა ყოფილა ტოლსტოი ზუდერმანის შესახებ. იგი დამოუკიდებელ ნიჭის პატრონიაო. რაც შეეხება იბსენს, ამ მწერალს თვით არ ესმის, რა უნდა და რას დაეძებსო. სულ ახალგაზრდა მწერლების შესახებ ტოლსტოის უთქვამს, რომ იმათ უნდათ ახალის ენის, ახალის ხელოვნების შექმნა ისევე, როგორც ფრანგ მწერლებს, მაგრამ ხშირად ავიწყდებათ უმთავრესი—მიზანი ხელოვნებისა. „რა არის ხელოვნება? უთქვამს დასასრულ ტოლსტოის: ხელოვნება—ახალი მშვენიერი აზრებია, მშვენივრად, მხატვრულად და ყველასათვის გასაგებად გამოთქმულიო“.

* * *

როგორც ამერიკული გაზეთები გადმოგვცემენ, პროფესორს მეცს ჰაერი მაგარ ნივთიერებად გადაუქცევია. დღემდე მხოლოდ ჰაერის სითხედ გადაქმნა შეეძლოთ. პროფესორმა მეცმა ჰაერი დაბალ ტემპერატურის ქვეშ ამყოფა (—300°), და ამ ტემპერატურის გავლენით იგი მაგარ, მინის მაგვარ ნივთიერებად გადააქცია. ეს მაგარი ნივთიერება, თუმცა მინასა ჰგავდა, მაგრამ ჩაქუჩის დარტყმის დროს არ ინტვრეოდა თურმე. ოთახში, სადაც ამ საქმეს აკეთებდა პროფესორი, საშინლად აცივდა თურმე ყველაფერი, რასაც-კი ჰაერის გამხმარ „ნაჭერთან“ მიიტანდნენ, იყინებოდა. თვით ნაჭერი, მცირე ხანს შემდეგ, ოთახის სითბოს გავლენით, დადნა და ისევ ჰაერად იქცა თურმე.

* * *

გლაზგოს უნივერსიტეტმა ამას წინად იდღესასწაულა თავისს არსებობის 450 წლის იუბილეი. შოტლანდიელთა ეს პირველი უნივერსიტეტი დაარსებულ იქმნა 1451 წელს რომის პაპის ბულლას ძალით. უნივერსიტეტის პირველ კანცლერად გლაზგოს მაშინდელი ეპისკოპოსი დაინიშნა, რეფორმაციამდე უნივერსიტეტს ბევრი არაფერი მნიშვნელობა ჰქონდა. 1577 წელს მეფე იაკობ მეექვსემ შეუდგინა უნივერსიტეტს ახალი წესდება და აჩუქა დიდი ქონება. ამ წლიდგან იწყობა უნივერსიტეტის წარმატება და განვითარება. 1892 წელს უნივერსიტეტში ლექციების მოსმენის უფლება ქალებსაც მიანიჭეს. უნივერსიტეტს ოთხი კორპორაცია განაგებს: 1) საკადემიო სენატი, 2) საუნივერსიტეტო სასამართლო, 3), მთავარი საბჭო და 4) სტუდენტთა წარმომადგენელთაგან შემდგარი საბჭო.

* * *

მიწა-ადგილის სივიწროვემ კარგა ხანია ჰოლანდიელნი შეაჩვია ზღვასთან ბრძოლას, რომელიც ნაპირიდგან თანდათან შიგნით მიიწევს და ხელიდგან აცლის ჰოლანდიას უმისოდაც მცირე ადგილს. ამ ჟამად ჰოლანდიელებს განუზრახავთ კარგა მოზრდილის ტბის-ზიუდეერზეეს ამოშრობა, რომელიც ზღვის ნაპირის მახლობლად მდებარეობს და ზღვასთანაა შეერთებული. გეგმა ამ ტბის ამოშრობისა შეუმუშავებია ზღვათა მინისტრს ლელის და უკვე წარუდგენია განსახილველად მეორე პალატისათვის. ამ საქმის განხორციელებას პროექტით 18 წელიწადი უნდა; ფულად დასჭირდება სულ 95 მილიონი ფლორინი. ეს მეტად დიდი ფულია პატარა ჰოლანდიისათვის, მაგრამ სამაგიეროდ სარგებლობაც დიდი მოჰყვება ტბის ამოშრობას: ჰოლანდია 45,000 დესეტინამდე ნაყოფიერ მიწას შეიძენს.

* * *

თუ გაზეთ „Field“-ს დაუჯერებთ, შოკიეხონპორეს მახლობლად ინდოეთში სცხოვრობს თურმე ერთი ბავშვი-მგელი, რომელიც ინგლისელ ჯარის-კაცებს ტყეში უნახავთ. ერთხელ, ტყეში გავლის დროს, ამ ჯარის-კაცებს თვალი მოუკრავთ მგლის მსგავს ბავშვისათვის, რომელიც სირბილით უკან მისდევდა თურმე დიდ მგლებს. ჯარის-კაცნი დასდევნებიან, დიდის წვალების შემდეგ დაუჭერიათ და სოფელში მიუყვანიათ. ბავშვი დაჭერის დროს ძალზედ იკბინებოდა თურმე. რადგანაც ეს მგელ-კაცი სახლისთვის ვერ შეუჩვევიათ, სოფლელთ იმისათვის პატარა ქოხი აუგიათ, სადაც ეს უცნაური არსება სცხოვრობს თურმე. ბავშვი ოთხით დადის. დღისით თავის ქოხში სძინავს თურმე, ღამე-კი სახლების გარშემო დარბის და სჭამს ყველაფერს, რასაც გადაუგდებენ. აგებულობით კაცისაგან არ გაირჩევა, მხოლოდ სახესა და ტანზედ დიდი ბალანი აქვს და, როგორც ზემოდაცა ვთქვით, ოთხით დადის. ამას გარდა ეს მგელ-ბავშვი ძაღლივითა ყმუის თურმე.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 ივნისი.

**პეტერბურგი.** გენერალი ფონ-მოლტკე და გერმანიის სამხედრო დეპუტაცია 18 ივნისს წავიდა საზღვარ-გარეთ.

როგორც გადმოგვცეს, ამ ზაფხულს ბატტენბერგის პრინცი და მისი მეუღლე თურმე ინახულებენ მოსკოვს.

**ჩისტოპოლი.** ახალთესლები 40 გრადუსიანმა ხმელმა სიცხეებმა ყველგან დიდად აზარალა. ბალახი ყველგან მოიტრუსა. შიშობენ, რომ ჭვავი თავთავს ვერ გაივსებს.

**გროდნა.** პეტერბურგისა და ვარშავის რკინის გზის მე-808 ვერსზედ 18 ივნისს ვიღაცა უცნობი კაცი ჩქარი საქონლის მატარებლის ქვეშ ჩავარდა და გაისრისა.

**ყაზანი.** მთელის კვირის სიცხეების შემდეგ, რომელმაც ორმოც გრადუსამდე მიაღწია, 18 ივნისს ღამით დიდი წვიმა და ნიაღვარი მოვიდა ელვა-ქუხილით. ნათლისღების ეკკლესიის სამრეკლო მეხმა ცოტა დააზიანა. დეკანოზი სკვორცევი შიშისაგან გარდაიცვალა.

## წერილი რედაქციის მიმართ

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! თქვენის პატივცემულ გაზეთ «ივერიის» ამა 1901 წლის 86 ნომერში დაბეჭდილია ქ. დუშეთიდგან რესპონდენცია იმის შესახებ, რომ მესამე ხარისხის პურზედ ნიხრია მომატებული $2^1/_2$ კაპეიკიდგან 3 კაპეიკამდე გირვანქაზედ. რადგანაც ხსენებულის კორრესპონდენციის ავტორი თავისს ვრცელს წერილში საქმის გარემოებას სწორედ არ გადმოგვცემს, მსურს ამის შესახებ მკითხველს ნამდვილი ვაცნობო.

აი ნამდვილი რაში მდგომარეობს: რამდენისამე თვის წინად მეფურნე პანოსიანცმა და მისმა ამხანაგმა ქალაქის გამგეობაში ორი თხოვნა შეიტანეს, რომ პურზედ ნიხრი ყოფილიყო მომატებული და ამ თხოვნას იმ საბუთზედ ამყარებდნენ, რომ ტფილისში, საიდამაც ფქვილი მოაქვთ, ფქვილის ფასმა აიწია და ხელს არ გვაძლევს დღევანდელს ფასებში ვყიდოთ, მით უფრო, რომ ადგილობრივმა ფქვილმა მესამე ხარისხისამ ყოვლად შეუძლებელია უვარგისობის გამო ბაზარი იქონიოს; ეს გარემოება-კი, რომ მესამე ხარისხის პური ქალაქიდგან მოტანილი ფქვილიდამაც ცხვება, და არა, როგორც კორესპონდენტსა ჰგონია, ადგილობრივი ფქვილიდამ, ადგილობრივის ქალაქის ხმოსნებისაგან შემოწმებულია და თვით ბ. თაბურიძესგანაც, რომელსაც კორესპონდენტი ხელზედ იხვევს.

ქ. დუშეთის რწმუნებულთ, შემდგომ დიდის რჩევისა, გარდასწყვიტეს პურის გამოცხობა სცადონ და მიანდეს ეს ბ-ნს თაბურიძესვე, როგორც გამოცდილსა და ფურნის პატრონს. სამოქალაქო თანხიდგან ამ აზრით ფული იყო დანიშნული, საცდელად ტფილისში იყიდეს სამივე ხარისხის ფქვილი გამოსაცხობად. გამოაცხეს პური მეორე და მესამე ხარისხისა და ზარალი მოუვიდათ 6 მანეთი და 3 კაპეიკი, ასე რომ, თუ ვინიცობაა ამ პურის გამოცხობის ცდაზედ იქმნებოდა ნიხრი დადგენილი, მაშინ ნიხრი უნდა აწეულიყო არა $^1/_2$ კაპეიკით, არამედ $1^1/_2$ კაპეიკით გირვანქაზედ. საცდელად გამომცხვარმა პურმა დაგვარწმუნა: ქ. დუშეთის მამასახლისის თანაშემწის ბ-ნის გრიგოლოვის ანგარიშით ფუთი ფქვილი მესამე ხარისხისა თავისის მოტანით დაჯდა 1 მან. და $32^1/_2$ კაპ. და თუ 6 კაპ. თითო ფუთზედ ხარჯს ჩავთვლით გამოცხობისას, როგორც, მაგალითად, ქირა ფურნისას, ჯამაგირს მოსამსახურეებისას და აგრეთვე, შეშას, მარილსა და სხ., მაშინ ფუთი ფქვილი დაჯდება 1 მ. $38^1/_2$ კ. ფუთი ფქვილიდგან გამოცხვა 54 გირვანქა პური, ესე იგი 14 გირვანქა მატება ჰქონდა, რაიცა შემოწმებულია სხდომის ოქმით. ამ ნაირად, თუ გირვანქა პური $2^1/_2$ კაპ. გაიყიდა, მაშინ 54 გირვანქიდგან შესდგება მხოლოდ 1 მ. 35 კაპ., ესე იგი დანახარჯზედ $3^1/_2$ კაპ., ნაკლები. აი, ამის გამო ქალაქის რწმუნებულებმა, რიცხვით 9 კაცმა, თავიანთს სხდომაზედ ნიხრის მომატება საჭიროდ სცნეს და მესამე ხარისხის პურზედ $^1/_2$ კაპეიკი მოუმატეს. გაკვრით საყვედური-კი ხსენებულის კორრესპონდენტისა, ვითომც სამი რწმუნებული დიდად იცავდნენ მეფურნის ინტერესსაო, უსაფუძვლოა, რადგანაც 9 ხმოსანს შორის სამი შეადგენს უმცირესობას და კითხვა-კი ნიხრის მომატების შესახებ უმრავლესობით გადაწყდა. აი, ეს გახლდათ ნამდვილი მიზეზი ნიხრის მომატებისა და არა სხვა რაიმე, როგორც კორრესპონდენტს ჰგონია.

დუშეთის ქალაქის სტაროსტა მიხეილ ივანეს ძე ტერ-ტეროვი


## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ 23 ამა ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა ხელახლა მოკირწყვლის საქმე კახეთის გზა-ტკეცილისა და ლოზარევის ქუჩისა, სულ 1100 ოთხ-კ. საჟენისა; სამუშაო 2750 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმეს გარდა, 9-დგან 2 საათამდე.

(3—6.—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 22 ამა ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით **მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა დაგეგმა და მოკირწყვლა გზისა პეტრე-პავლეს ხიდიდგან საქალაქო გადამდებ ხენით ავადმყოფთა ბარაკებამდე; **სამუშაო სულ 210 მანეთისაა.**

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმეს გარდა, 9-დგან 2 საათამდე.

(3—6.—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 22 ამა ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით **მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა მართლმადიდებელთა კუკიის სასაფლაოსაკენ მიმავალ გზის მოკირწყვლა ანტონის ქუჩის კუთხიდგან დაწყობილი იაროსლავის ვიწრო ქუჩამდე, 1240 ოთხ-კ. საჟენი. სამუშაო 4900 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმეს გარდა, 9-დგან 2 საათამდე.

(3—6 —3)

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ სამოცი (60) ვაკანსიაა: ორმოც-და-ათი (50) პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და ათიც მეორეში (8 და 9 წლის ყმაწვილებისათვის); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის, ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

60 ვაკანსიიდგან 55 დანიშნულია გარედგან მოსიარულეთათვის, 3 მისაღებად საზოგადოების სრულ ხარჯზე და 2 საზოგადოების ნახევარ ხარჯზე.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქმნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე, იმან უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი.

ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდის კანტორისაგან, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, შეუძლებლობის მოწმობის გარდა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზედ დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისთანავე და ათიც იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგი ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской школою, на Лабораторной ул.

აგვისტოს 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31 მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის გარედგან მოსიარულე მოსწავლენიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1901—1902 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობელმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისში მცხოვრებთაგანი, რომელსაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართოს, როგორც ფულის თავისს დროზე შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც.

(5—6.—3)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

გ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—6.—12)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Іюня 1901 г. სტამბა ქქ. ივ. ხელაძისა, დვრის-მეჯლიქისას ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე